ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 5 ოქტომბრის სხდომის

ოქმი # 8

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან - 32

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
2. კონფლიქტოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაცია
   მომხსენებელი: ს.დუნდუა
3. დოქტორანტ ვაჟა შატბერაშვილის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება
   მომხსენებელი: ს.დუნდუა
4. დოქტორანტ თემურ გუგუშვილის სადსერტაციო ნაშრომის მეორე ხელმძღვანელის დამტკიცება
   მომხსენებელი: ს.დუნდუა
5. ასოცირებულ პროფესორ ზურაბ აბაშიძის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების შესახებ ანგარიში.
   მომხსენებელი: ს. დუნდუა

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების ჩატარების წესი, რომელიც მიღებულ იქნა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის სხდომაზე. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების, პროფესორ თამარ დოლბაიას და ასოცირებულ პროფესორ კონსტანტინე შუბითიძის მიერ ფაკულტეტის კანცელარიაში საკონკურსოდ წარდგენილი დოკუმენტაცია. ფაკულტეტის საბჭოს წევრების მიერ ერთხმად არჩეულ იქნა საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანული ტალახაძე, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი

2. ზვიად აბაშიძე - საარჩევნო კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი
3. ალექსანდრე გაბაშვილი - საარჩევნო კომისიის წევრი, სტუდენტი

არჩევნები ჩატარდა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის სხდომაზე მიღებული წესის მიხედვით. შედგენილ იქნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც დაფიქსირდა შემდეგი:

1. ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით - 35
2. კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერის მიხედვით - 32
3. საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა - 32
4. ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა - 2
5. კანდიდატების მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა:

   ა) თამარ დოლბაია - 16
   ბ) კონსტანტინე შუბითიძე - 14

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ასარჩევად ფაკულტეტის სხდომაზე დამსწრე წევრთაგან უმრავლესობა (17 ხმა) ვერ მოიპოვა ვერცერთმა კანდიდატმა. შესაბამისად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული. ხარისხის უზრუნველყოფის სამსხაურის უფროსის ხელახალი არჩევნები გამოცხადდეს ფაკულტეტის საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: 2. ს. დუნდუამ ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა ინფორმაცია კონფლიქტოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით. ს. დუნდუამ აღნიშნა, რომ კონფლიქტოლოგიის სადოქტორო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის განახლებისა და კლასიფიკატორში ცვლილების შეტანის გამო (კერძოდ, კონფლიქტოლოგია მეორე სვეტიდან 0388.2.7.-დან გადმოტანილ იქნა პირველ სვეტში 0388.1.4.) კონფლიქტოლოგიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის მიზნით ფაკულტეტის საბჭოზე უნდა იქნეს (გა)დამტკიცებული.

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ

დაადგინეს: დამტკიცდეს კონფლიქტოლოგიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის მიზნით. გადაეგზავნოს მოცემული გადაწყვეტილება თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდეგი შესწავლისა და თსუ-ის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცების მიზნით.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ვაჟა შატბერაშვილის (სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბელქანია) სადისერტაციო ნაშრომის თაობაზე. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ დოქტორანტმა წარმოადგინა დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი სათაურით: „თანამედროვე საქართველოს კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის მოდელი და მისი ინსტიტუციური მართვის სისტემა". დოქტორანტს წესრიგში აქვს ყველა საჭირო დოკუმენტაცია. შესაბამისად, საჭიროა ვაჟა შატბერაშვილისთვის რეცენზენტების განსაზღვრა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

1. **გუგული მაღრაძე** - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების პროფესორი;

პუბლიკაცია: Magradze, G. H., Leung, K., Au, A., Tong, K. K., De Carrasquel, S. R., Murakami, F., ... & Lewis, J. R. (2004). Culture-level dimensions of social axioms and their correlates across 41 cultures. *Journal of cross-cultural psychology*, *35*(5), 548-570.

2. **თამარ ვეფხვაძე** - ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Vepkhvadze, T. (2023). Anthropocentric paradigm in scientific discourse. *environment and society*, *7*(7).

3. **თეონა მატარაძე** - სოციალური ანთროპოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Kachkachishvili, I., Mataradze, T., Nizharadze, G., & Shubitidze, G. (2013). *Labor Culture and Religious Discourse in Different Communities of Georgia*. Tbilisi: Intelekti Publishing.

4. **ქეთევან კაკიტელაშვილი** - ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: კულტურის ანთროპოლოგია და ისტორია: გადაკვეთის მომენტი. *ანთროპოლოგია - მომავლის მეცნიერება?* თბილისი, 2008, გვ. 149-155

5. **აკაკი ყულიჯანიშვილი** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტის პროფესორი;

პუბლიკაცია: ყულიჯანიშვილი, ა. (2009). კულტურის თეორია. თბილისი: უნივერსალი.

6. **ნინო სანადირაძე** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

პუბლიკაცია: სანადირაძე, ნ. (2011). კულტურის სფეროს პროექტების მენეჯმენტი და დაგეგმარება: დამხმარე სახელმძღვანელო. თბილისი: კენტავრი.

7. **ლელა ფირალიშვილი** - ფილოსოფიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი, თანამედროვე კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

პუბლიკაცია: Piralishvili, L. (2013). PIROSMANI – HABITAT AND INHABITANCE OF GEORGIAN CULTURE. *International Interdisciplinary Conference „PIROSMANI AND GEORGIAN CULTURE"*, (pp. 61-66). Tbilisi.

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები

1. **თამარ ამაშუკელი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი;

<u>პუბლიკაცია</u>: Amashukeli, T. (2021). *Cultural Heritage Administration Issues.*

2. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;

<u>პუბლიკაცია:</u> Nadaria, A., Kirkitadze, G., Lobjanidze, M., Vacheishvili, N., & Elashvili, M. (2020, May). Modeling Surficial Water runoff and estimation of its damaging factor on Rock Curved Cultural Heritage Monuments of Georgia-Application of Close Range Aerial Photogrammetry. In *EGU General Assembly Conference Abstracts* (p. 18918).

3. **Mariano Martin Zamorano Barrios (მარიანო მარტინ ზამორანო ბარრიოს)** - კულტურისა და მემკვიდრეობის მენეჯმენტის დოქტორი, ბარსელონას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

<u>პუბლიკაცია:</u> Bonet, L., & Zamorano, M. M. (2021). Cultural policies in illiberal democracies: a conceptual framework based on the Polish and Hungarian governing experiences. *International Journal of Cultural Policy*, *27*(5), 559-573.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, რ, ჯორბენაძემ.

დაადგინეს: ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ვაჟა შატბერაშვილის (სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბელქანია) სადისერტაციო ნაშრომის „თანამედროვე საქართველოს კულტურის

სახელმწიფო პოლიტიკის მოდელი და მისი ინსტიტუციური მართვის სისტემა“ რეცენზენტებად და დაცვის კომისიის წევრებად დამტკიცდნენ:

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

1. **გუგული მაღრაძე** - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების პროფესორი;

2. **თამარ ვეფხვაძე** - ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

3. **თეონა მატარაძე** - სოციალური ანთროპოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

4. **ქეთევან კაკიტელაშვილი** - ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი;

5. **აკაკი ყულიჯანიშვილი** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

6. **ნინო სანადირაძე** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

7. **ლელა ფირალიშვილი** - ფილოსოფიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი, თანამედროვე კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები

1. **თამარ ამაშუკელი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი;

2. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;

3. **Mariano Martin Zamorano Barrios (მარიანო მარტინ ზამორანო ბარრიოს)** - კულტურისა და მემკვიდრეობის მენეჯმენტის დოქტორი, ბარსელონას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თემურ გუგუშვილისთვის მეორე სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის თაობაზე. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ თ. გუგუშვილს პირადი განცხადების და ხელმძღვანელის (სოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი) თანხმობის საფუძველზე სურს მეორე ხელმძღვანელად განესაზღვროს დირკ როეფი - სოფლის სოციოლოგიის დოქტორი, ვაგენინგენის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების მიმართულების სოფლის სოციოლოგიის ჯგუფის ასისტენტ პროფესორი

აზრი გამოთქვეს: ნ. დურგლიშვილმა.

დაადგინეს: სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თემურ გუგუშვილის სადოსერტაციო ნაშრომის მეორე სამეცნიერო ხელმძღვანელად განისაზღვროს დირკ როეფი - სოფლის სოციოლოგიის დოქტორი, ვაგენინგენის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების მიმართულების სოფლის სოციოლოგიის ჯგუფის ასისტენტ პროფესორი

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრების წინაშე განსახილველად წარადგინა ასოცირებული პროფესორის, ზურაბ აბაშიძის სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების შესრულების საკითხი. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ზურაბ აბაშიძის პირადი განცხადებისა და ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის (ოქმი #8) დადგენილებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 25/11 2022 წლის #1208/02-02 ბრძანების საფუძველზე მას მიეცა სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულება 1 ნოემბრიდან 1 აგვისტომდე. ზ. აბაშიძეს, მის მიერ აღებული ვალდებულების მიხედვით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბეში“ 2023 წლის პირველ ნახევარში უნდა გამოექვეყნებინა სტატია „თანამედროვე რუსეთის ქცევის საწყისები“; ამასთანავე, მას უნდა დაეწერა ახალი წიგნი „ცივი ომი XX საუკუნეში“. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო ზ. აბაშიძის განცხადება შესრულებული სამუშაოს შესახებ. ზ. აბაშიძემ გამოაქვეყნა სტატია ჟურნალ „მოამბეში“(V. 17. N 1;) „The Sources of Russia`s Conduct (1992-1999)“. ამასთანავე, მის მიერ მომზადებული და გამოსაქვეყნებლად გაგზავნილ იქნა იმავე ჟურნალ „მოამბეში“ მეორე სტატიაც, "International Conflic ts during the Final Stage of the Cold War (1975-1990) and the Subsequent Period (1991-2005)".

რაც შეეხება ახალ წიგნს, ა. აბაშიძის განცხადებით, მას საწყის ეტაპზე გათვალისწინებული ჰქონდა აღნიშნული თემის რამდენიმე ეტაპად განხილვა. კერძოდ, რუსეთი ე.წ. ელცინის პერიოდში (1992-1999), შემდგომ, პუტინის მმართველობის "პირველი" ეტაპი (2000-2014 წლები) და „მეორე ეტაპი“ (2014-2022). ამჟამად მან წარმოადგინა წიგნის ნაწილი, „რუსეთის ქცევის წყაროები", ხოლო მეორე ნაწილი (2014-2022 წლების პერიოდი) კი, ზ.

აბაშიძის განცხადების მიხედვით, თემის აქტუალობისა და მიმდინარე პროცესების სიახლიდან გამომდინარე დაკვირვებასა და გარკვეული დროის გასვლას საჭიროებს.

აზრი გამოთქვეს: ზ. აბაშიძემ, კ. შუბითიძემ.

დაადგინეს: ზ. აბაშიძის მიერ სამეცნიერო - შემოქმედებითი შვებულების პერიოდში აღებული ვალდებულებები 1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბეში“ 2023 წლის პირველ ნახევარში სტატიის „თანამედროვე რუსეთის ქცევის საწყისები“ გამოქვეყნება ჩაითვალოს შესრულებულად; 2. წიგნის „ცივი ომი XX საუკუნეში“ მომზადება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე სალომე დუნდუა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ნათელა ფხალაძე

05. 10. 2023

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანული ტალახაძე

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ბიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები

ამომრჩეველთა სია 05/10/2023

N	გვარი	სახელი	პირადი ნომერი	ხელმოწერა
1	აბაშიძე	ზვიად		
2	აბაშიძე	ზურაბ		
3	ასანიშვილი	ფიქრია		
4	ბელქანია	დიტო		
5	ბელქანია	ნოდარ		
6	ბერძენიშვილი	ამირან		
7	ბიბიჩაძე	თამარ		
8	გაბარაშვილი	ალექსანდრე		
9	გაჩეჩილაძე	რევაზ		
10	გოგსაძე	გიორგი		
11	დავითაშვილი	ზურაბ		
12	დოლბაია	თამარ		
13	დუნდუა	სალომე		
14	დურგლიშვილი	ნინო		
15	კარანაია	ნინა		
16	კაჭკაჭიშვილი	იაგო		
17	კუხიანიძე	ალექსანდრე		

18	კუჭუხიძე	კახა	
19	ლორთქიფანიძე	ვაჟა	
20	მაისაშვილი	ხათუნა	
21	მაცაბერიძე	დავით	
22	მაცაბერიძე	მალხაზ	
23	მატარაძე	თეონა	
24	ორმოცაძე	იაკობ	
25	ტაბიძე	ლუკა	
26	ტალახაძე	ნანული	
27	ფარცხალაძე	ნათელა	
28	ფასეიშვილი	ალექსანდრე	
29	ქარაია	თამარ	
30	შამილიშვილი	მანანა	
31	შუბითიძე	კონსტანტინე	
32	წერეთელი	მარი	
33	ჭალაგანიძე	ნინო	
34	ჯეჯია	მარიამ	
35	ჯორბენაძე	რევაზ	

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ხარსხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების

შემაჯამებელი ოქმი

5 ოქტომბერი 2023 წელი

1. ამომრჩეველთა რაოდენობა სიის მიხედვით: 35

2. კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით: 32

3. საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა: 32

4. ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 2

5. თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა: [illegible] - 16

[illegible] - 14

6. კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა:

ნანული ტალახაძე - ასოცირებული პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე

ზვიად აბაშიძე - ასოცირებული პროფესორი, კომისიის მდივანი

ალექსანდრე გაბაშვილი - სტუდენტი , კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ლაშა საღინაძეს

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ასოცირებულ პროფესორ სალომე დუნდუას

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორის, ზურაბ აბაშიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ 2022 წლის 1 ნოემბრიდან 1 აგვისტომდე ვიმყოფებოდი ანაზღაურებად სამეცნიერო შემოქმედებით შვებულებაში. მოცემული სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების ვადა ამოიწურა და შესაბამისად, დავუბრუნდი ასოცირებული პროფესორის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

პატივისცემით,

ზურაბ აბაშიძე

03. 08. 23

10 22767/30 3
08 023

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს,
ასოცირებულ პროფესორ სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის
ზურაბ აბაშიძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგახსენებთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 25 ნოემბრის (1208/02-02) ბრძანების შესაბამისად და ჩემს მიერ აღებული ვალდებულებების თანახმად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბეში" (V. 17. N 1; science.org.ge) გამოქვეყნდა ჩემი სტატია „The Sources of Russia`s Conduct (1992-1999)". მომზადდა მეორე სტატიაც, რომელშიც განხილულია „ცივი ომის" ბოლო ეტაპზე წარმოქმნილი შეიარაღებული კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესი 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ეს სტატია წლის ბოლომდე გამოქვეყნდება.

აღნიშნული ორი სტატია წარმოადგენს ნაწილს ჩემი წიგნისა, რომელზეც ამჟამად ვმუშაობ და რომლის სავარაუდო სათაურია „ცივი ომი" XXI საუკუნეში". წიგნში, გასაგები მიზეზების გამო, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის პრობლემებს. ვფიქრობ, რომ საკვლევი თემის აქტუალობის არგუმენტირება საჭიროებას არ წარმოადგენს.

რუსეთის „ქცევის წყაროების“ განხილვისას მიზნად დავისახე კრემლის პოლიტიკის განხილვა სამ ეტაპად: 1992-1999 წლები, შემდგომ 2000—2014 და 2014-2022 წლები.

სამწუხაროდ, ეს ამოცანა ფრიად რთული აღმოჩნდა, ამ ეტაპზე ნაშრომის გამოქვეყნების თვალსაზრისით. განსახილველი პრობლემის სიმწვავე და უკიდურესად პოლიტიზება, არა მხოლოდ ართულებს კვლევას, არამედ ზოგჯერ შეუძლებელს ხდის აკადემიური მიდგომის შენარჩუნებასა და ზუსტი დასკვნების ჩამოყალიბებას. ამას ემატება ჩემი ოფიციალური სტატუსის ფაქტორიც (რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი).

ასეთ ვითარებაში და დროის საკმაოდ შეზღუდულ მონაკვეთში წიგნზე მუშაობის დასრულება ვერ მოხერხდა, თუმცა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დამუშავებული მაქვს.

პატივისცემით,

ზურაბ აბაშიძე

07.08.23